

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის
გენერალურ დირექტორს გ. გ.-ს
მის.: თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N9

რეკომენდაცია

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო გივი,

საქართველოს სახალხო დამცველს 2021 წლის 18 ოქტომბერს N11091/21 განცხადებით მომართა საქართველოს მოქალაქე მ. ლ.-მ. განმცხადებელი ითხოვს მის მიმართ სს „სადაზღვევო კომპანიაში იმედი L“-ის მიერ ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას.

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

საქართველოს სახალხო დამცველს 2021 წლის 18 ოქტომბერს ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით მომართა საქართველოს მოქალაქე მ. ლ.-მ (საქმე N11091/21). მ. ლ. (შემდგომში - განმცხადებელი) მიუთითებს, რომ მან სს „სადაზღვევო კომპანიაში იმედი L“-ისგან (შემდგომში - სადაზღვევო კომპანია, მოპასუხე) შეიძინა სამოგზაურო დაზღვევა. განმცხადებელი სამოგზაურო პერიოდში მოხვდა ჟენევის საუნივერსიტეტო კლინიკის გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში, სადაც მან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებისთვის თანხა გადაიხადა.

როგორც სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლის მიერ განმცხადებლისადმი გაგზავნილ 2021 წლის 29 სექტემბრის წერილიდან ირკვევა, მ. ლ.-ს ჰქონდა სტანდარტული სამოგზაურო დაზღვევის პოლისი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობას: 2.1.2 იმ დაზღვეულთათვის, რომელთა ასაკი დაზღვევის პერიოდის დასრულების მომენტში 70 წელი ან მეტია, იფარება მხოლოდ რეპატრაციის ხარჯები. ამ წერილში მოპასუხე მიუთითებდა, რომ მ. ლ.-ის ასაკი დამდგარი შემთხვევისას არის 70 წელი, ხოლო სამედიცინო მომსახურების ხარჯი სრულად გასაწევია დაზღვეულის მიერ.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ სადაზღვევო პოლისის შექმნისას მისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია, რომ ასაკიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანია სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე უარს ეუბნებოდა. გარდა ამისა, მას შემდეგ რაც განმცხადებელი მოხვდა სამედიცინო დაწესებულებაში და შუამავალ სადაზღვევო კომპანიასთან ჰქონდა კავშირი, მათ შორის, აღნიშნული კომუნიკაციისას არ განუმარტავთ, რომ მისთვის გაწეული სამედიცინო სერვისის ღირებულება სადაზღვევო კომპანიის მიერ არ დაიფარებოდა. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მომხდარი ფაქტი ასაკის ნიშნით დისკრიმინაციაა.

1.2. მოპასუხის პოზიცია

საქმის დეტალურად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა მოპასუხისგან გამოითხოვა ინფორმაცია და განმცხადებლის მიერ სხვადასხვა დროს გამოგზავნილი მასალები მიაწოდა. მოპასუხეს ეთხოვა შემდეგი ინფორმაცია: მიეწოდა თუ არა (და რა ფორმით) მ. ლ.-ს ინფორმაცია, თუ რა ტიპის ხარჯები იქნებოდა ანაზღაურებული მის მიერ შეძენილი სამოგზაურო დაზღვევის შემთხვევაში; შეისწავლა თუ არა მ. ლ.-ის შემთხვევა ინდივიდუალურად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით; არის თუ არა მათი შიდა ორგანიზაციული დოკუმენტებით ასაკი იმის ერთმნიშვნელოვანი და პირდაპირი საფუძველი, რომ სამოგზაურო დაზღვევის შემთხვევაში დაზღვეულს რაიმე ტიპის მომსახურებაზე ავტომატურად ეთქვას უარი; აქვთ თუ არა რაიმე ღონისძიება გატარებული საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 1 აპრილის №4 რეკომენდაციის „სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ“ საფუძველზე.

მოპასუხის მიერ მოწოდებული წერილის მიხედვით, განმცხადებელი მ. ლ. მათი კომპანიის მიერ დაზღვეული პირია, ხოლო მის სამოგზაურო სადაზღვევო პოლისზე მითითებული იყო შემდეგი ტიპის შენიშვნა: „წინამდებარე სამოგზაურო დაზღვევის პოლისის სტანდარტული პირობები #100001 განთავსებულია მზღვეველის ვებ-გვერდზე: (<https://www.imedil.ge/Home/Travel>) წარმოადგენს პოლისის შემადგენელ/განუყოფელ ნაწილს და მასთან ერთობლიობაში ქმნის სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებას, ამასთან წინამდებარე პოლისზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ დაზღვეულს სრულად გააცნო სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების ვებ-გვერდზე განთავსებული სტანდარტული პირობები და რომ დაზღვეულს რაიმე სახის პრეტენზია სტანდარტული პირობების მიმართ არ გააჩნია“.¹

მოპასუხე აღნიშნავს, რომ სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობები წარმოადგენს ფაქტის კონსტატაციის აქტის შესაბამისად კონსტატირებული პირობების ანალოგს. ამასთან, სტანდარტულ პირობებში ნებისმიერი სახის/ხასიათის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ

¹ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის 2021 წლის 17 ნოემბრის წერილი

ცვლილების ფაქტის კონსტატაციის გზით, შესაბამისად ყველა სხვა კონსტატირებული სტანდარტული პირობებისაგან განსხვავებული პირობები, რომელთა ცვლილება არ განხორციელებულა დადგენილი წესით არ წარმოშობს მხარეთათვის რაიმე სახის უფლებამოვალეობებსა თუ პასუხისმგებლობას.²

სადაზღვევო კომპანია განმარტავს, რომ დაზღვეულმა პოლისი შეიძინა სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის პარტნიორ ტურისტულ სააგენტოში „პანორამა ტრეველში“, ხოლო ნებისმიერ ადგილას მზღვეველის პოლისის შექმნის დროს, დეტალურად ხდება დაზღვეულისათვის სადაზღვევო პოლისზე ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, აღნიშნულ პოლისზე მითითებული შენიშვნის თანახმად: დაზღვეულს შესაძლებლობა აქვს სამოგზაურო დაზღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად მიმართოს მზღვეველს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობები განთავსებულია მზღვეველის ვებ-გვერდზე და არის კონსტატირებული, მაქსიმალურად არის დაცული და რეალიზებული დაზღვეულის უფლებები სადაზღვევო პოლისის შექმნის დროს. მოპასუხე აღნიშნავს, რომ რამდენადაც დაზღვეული წარმოადგენს სრულწლოვან პირს, იგულისხმება, რომ მზღვეველთან ხელშეკრულების დადებამდე (ანუ პოლისის შექმნამდე) იგი გაეცნო ამ ხელშეკრულებით დადგენილ ყველა პირობას, დაეთანხმა მათ და შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება პოლისის შექმნის შესახებ.

მოპასუხე მიუთითებს სტანდარტული სამოგზაურო დაზღვევის პოლისით განსაზღვრულ შემდეგ პირობებზე: „1.9. დაზღვევის პირობები - სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობები, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის პირობებსა და მისი განხორციელების წესებს; 1.12. სადაზღვევო დაფარვა - დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თანახმად სადაზღვევო ანაზღაურებას დაქვემდებარებული სამედიცინო მომსახურება/სადაზღვევო რისკი; 1.13. სადაზღვევო შემთხვევა - სადაზღვევო დაფარვით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკის ხდომილება, რომელიც წარმოშობს მზღვეველის ვალდებულებას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.“ სადაზღვევო კომპანია განმარტავს, რომ სტანდარტული სამოგზაურო დაზღვევის პირობების 2.1.2 პუნქტის თანახმად განსაზღვრულია: „იმ პირობათვის, რომელთა ასაკი დაზღვევის პერიოდის დასრულების მომენტში 70 წელი ან მეტია, სამოგზაურო დაზღვევის პირობებით იფარება მხოლოდ: A) დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები. A.1. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში იფარება: რეპატრაციის ხარჯები“; დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, ანაზღაურდება მისი ცხედრის ან ფერფლის საქართველოში გადმოსვენებისათვის გაღებული ხარჯები და ასევე, დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ადგილზე დაკრძალვისათვის გაღებული ხარჯები. ქველიმიტი: 3,000.00 (სამი ათასი) EUR.³

² სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის 2021 წლის 17 ნოემბრის წერილი

³ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის 2021 წლის 17 ნოემბრის წერილი

სადაზღვევო კომპანია აღნიშნავს, რომ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის ფასის განსაზღვრისა და სადაზღვევო რისკების შეფასებისათვის მომხმარებლის ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოგზაურო დაზღვევა აუცილებელი დოკუმენტია საზღვრის გადაკვეთისათვის, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“ ხელმძღვანელობს დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6¹ პუნქტის თანახმად და კეთილსინდისიერების გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ნებისმიერი ასაკის პირისათვის სამოგზაურო დაზღვევის პოლისის შექმნის შესაძლებლობას, შედეგად, მ. ლ.-მ პოლისის გამოყენებით გადაკვეთა საზღვარი. მოპასუხე განმარტავს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნეს როგორც დაზღვეულის ასევე მზღვეველის ინტერესები და რადგან 70 წლის ან მეტი ასაკის პირები უპირობოდ ითვლებიან გაზრდილი რისკის მატარებლად, კონკრეტული სტანდარტული პირობებით ივარება მხოლოდ დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული პუნქტი არის ობიექტური და გონივრული და ეფუძნება სადაზღვევო რისკის ადეკვატური გაანგარიშების აღიარებულ პრინციპებს და არის დასახული მიზნისა და შესაბამისი ფასის თანაზომიერი.⁴

მოპასუხე მიუთითებებს, რომ ნებისმიერ პირს უფლება აქვს მიმართოს უშუალოდ სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვოს სტანდარტული პირობებისგან განსხვავებული პირობებით დაზღვევა, რაც სადაზღვევო კომპანიის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური ანდერაიტინგის/რისკის შეფასების საფუძველზე და განისაზღვრება შესაბამისი სტანდარტული პირობებისგან განსხვავებული ფასი. სადაზღვევო კომპანია აღნიშნავს, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მ. ლ.-ს მზღვეველისთვის არ მიუმართავს, დაზღვევა განხორციელდა სტანდარტული პირობების შესაბამისად.⁵

რაც შეეხება სადაზღვევო პოლიტიკაში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 1 აპრილის #4 რეკომენდაციის „სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ“ საფუძველზე ცვლილების საკითხს, მოპასუხემ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ ამ ეტაპზე რეკომენდაციის შესაბამისი წერილობითი ცვლილება არ არის დასრულებული, თუმცა მზღვეველი ატარებს შესაბამის პროცედურებს.⁶

⁴ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის 2021 წლის 17 ნოემბრის წერილი

⁵ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის 2021 წლის 17 ნოემბრის წერილი

⁶ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის 2021 წლის 17 ნოემბრის წერილი

2. სამართლებრივი დასაბუთება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციაში განსაზღვრულია თანასწორობის უფლება. უფრო კონკრეტულად, იგი შემდეგი სახით განიმარტება: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.⁷

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - ანტიდისკრიმინაციული კანონი) პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამგვარად, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, პირდაპირი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „თანასწორობის უფლების შეზღუდვას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა (ან არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა)“.⁸ ანალოგიური მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ

⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება, II-10

სასამართლოს. კერძოდ, იმისათვის, რომ საკითხი კონვენციის მე-14 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაცულ სფეროში მოექცეს, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.⁹

მოცემული საქმიდან გამომდინარე ასევე მნიშვნელოვანია ევროპის განახლებული სოციალური ქარტიის ჩანაწერი, რომელის თანახმად, ხანდაზმულთა მიერ სოციალური დაცვის უფლების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას, უშუალოდ ან საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ან წაახალისონ შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს, კერძოდ:

- ხანდაზმული პირებისთვის მაქსიმალურად დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოების სრულფასოვნად წევრებად დარჩენის შესაძლებლობის მიცემას, შემდეგი საშუალებებით: (ა) სათანადო სახსრებით, რომლებიც მათ მისცემს ღირსეულად ცხოვრებისა და საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალებას; (ბ) ინფორმაციის მიწოდებით იმ მომსახურებასა და საშუალებებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ხანდაზმული პირებისთვის, მათი გამოყენების შესაძლებლობებზე.
- ხანდაზმული პირებისთვის ცხოვრების წესის თავისუფლად არჩევისა და მათთვის ჩვეულ გარემოში დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალების მიცემას, სანამ ექნებათ ამის სურვილი და შესაძლებლობა, შემდეგი საშუალებებით: ... ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სხვა სახის მომსახურება, რაც საჭიროა მათი მდგომარეობიდან გამომდინარე.¹⁰

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაში ხელი შეეშალა განმცხადებელს

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაში პირს ხელი შეეშალა. იმ პირობებში, როდესაც სამოგზაურო დაზღვევის ფარგლებში განმცხადებელს არ აუნაზღაურებოდა სამედიცინო ხარჯები, სავარაუდოდ, ეს გამოიწვევდა მისი ჯანმრთელობის დაცვის უფლების შეზღუდვას, ასევე ფაქტს უარყოფითი ეფექტი ექნებოდა მიმოსვლის თავისუფლებით სარგებლობაზე.

⁹ *Eweida and others v. United Kingdom*, App. Nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, § 87-88 (15/01/2013, ECtHR); *Burden v. United Kingdom*, App. No. 13378/05, § 60 (29/04/2008, ECtHR)

¹⁰ ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), 23-ე მუხლი (მიმდინარე ეტაპისთვის აღნიშნული მუხლი არ არის აღიარებული საქართველოს მიერ)

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, „მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით“.¹¹ ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან მიმართებით აღსანიშნავია საერთაშორისო სტანდარტი. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მე-14 ზოგადი კომენტარის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზება არსებითად უკავშირდება სხვა ძირითად უფლებებს, მათ შორისაა, მუშაობის, განათლების, ღირსების, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები.¹² ამავე კომიტეტისვე განმარტებით, უფლების პოზიტიური, ვალდებულებითი მხარე ფარავს პირებისთვის ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე თანაბარ წვდომას.¹³ კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე წვდომის ნაწილი არ მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებას, რომლის მასშტაბის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი სახელმწიფოს რესურსები, არამედ იგი მიემართება სერვისებსა და პროდუქტებსაც.¹⁴

როგორც აღინიშნა, გარდა ჯანმრთელობის უფლებისა, მომხდარ შემთხვევას შესაძლებელია უარყოფითი ეფექტი ჰქონოდა განმცხადებლის გადაადგილების თავისუფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს სადაზღვევო პოლისი ჰქონდა, საზღვრის გადაკვეთისას დამატებითი შემოწმების შემთხვევაში, განმცხადებელს უცხო ქვეყანაში შესვლისას, შესაძლებელია, არსებითი ბარიერი შეჰქმნოდა.

ამგვარად, განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელ მ. ლ.-ს არ მიეცა საშუალება, სათანადოდ ესარგებლა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სულ მცირე ჯანმრთელობის დაცვის უფლებით. შემდგომ ეტაპებზე სახალხო დამცველი განიხილავს შესაძარბელები პირების საკითხს და უფლებაში ჩარევის (შეზღუდვის) პროპორციულობას.

2.3. არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.¹⁵ თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.¹⁶

¹¹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-14 მუხლის პირველი პუნქტი

¹² CESCR General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12), para. 3

¹³ CESCR General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12), para. 8

¹⁴ CESCR General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12), para. 9

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II-3

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II-1

როგორც საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი/უთანასწორო სუბიექტები.¹⁷ კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.¹⁸

განსახილველ შემთხვევაში მ. ლ. არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება 70 წლამდე ასაკის პირებთან შედარებით. კერძოდ, შესადარებელი ჯგუფები არიან, ერთი მხრივ, 70 წელზე ნაკლები ასაკის პირები, რომლებიც იღებენ სადაზღვევო ანაზღაურებას დაქვემდებარებულ სამედიცინო მომსახურებას და მეორე მხრივ, 70 წლის და მეტი ასაკის მქონე პირები (მათ შორის, განმცხადებელი), რომელთაც სამოგზაურო დაზღვევის ფარგლებში არ აუნაზღაურდება მსგავსი სერვისი. ამ ორ ჯგუფს შორის ასაკის, როგორც დიფერენციაციის კრიტერიუმის შესახებ, მიუთითებს სადაზღვევო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. თავის მხრივ, ორივე ჯგუფს აქვთ თანაბარი ინტერესი, რომ სამოგზაურო დაზღვევის პირობებში მათთვის გარანტირებული იყოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ანაზღაურება. შემდეგ ეტაპზე მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რამდენად გამართლებულია დიფერენცირება.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და არათანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება

ლეგიტიმური მიზანი

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მოწოდებულ წერილში სადაზღვევო კომპანია მიუთითებს, რომ 70 წლის და მეტი ასაკის მქონე პირებისთვის განსხვავებული სადაზღვევო პაკეტის შეთავაზებას აქვს ლეგიტიმური მიზანი. კერძოდ, კომპანია აღნიშნავს, რომ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის ფასის განსაზღვრისა და სადაზღვევო რისკების შეფასებისათვის მომხმარებლის ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოგზაურო დაზღვევა აუცილებელი დოკუმენტია საზღვრის გადაკვეთისათვის, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“ ხელმძღვანელობს დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6¹ პუნქტის თანახმად და კეთილსინდისიერების გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ნებისმიერი ასაკის პირისათვის სამოგზაურო დაზღვევის პოლისის შექმნის შესაძლებლობას. ამასთან, სადაზღვევო კომპანია აღნიშნავს: რათა დაცული იქნეს როგორც დაზღვეულის, ასევე მზღვეველის ინტერესები და რადგან 70 წლის ან მეტი ასაკის პირები უპირობოდ ითვლებიან გაზრდილი რისკის მატარებლად, კონკრეტული სტანდარტული პირობებით იფარება მხოლოდ დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები.¹⁹

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება, II-19

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება, II-1

¹⁹ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის 2021 წლის 17 ნოემბრის წერილი

ობიექტური და გონივრული გამართლება

მ. ლ.-ს ფაქტობრივად უარი უთხრეს სამოგზაურო დაზღვევაზე, რამდენადაც სამოგზაურო სადაზღვევო პოლისი არ ფარავდა სამედიცინო მომსახურების ხარჯებს. მოპასუხებმ განმარტა, რომ ხანდაზმული ადამიანების მიმართ ამგვარი მიდგომა არის ობიექტური და გონივრული და ეფუძნება სადაზღვევო რისკის ადეკვატური გაანგარიშების აღიარებულ პრინციპებს და არის დასახული მიზნისა და შესაბამისი ფასის თანაზომიერი.²⁰

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-800 მუხლის თანახმად, „პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, ვალდებულია დადოს ეს ხელშეკრულება, თუკი უარის თქმისათვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი“. აღნიშნული გულისხმობს, რომ თუ სადაზღვევო კომპანია წინადადებას დაზღვევის ხელშეკრულების დასადავად აკეთებს პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, რეკლამების და სხვა საშუალებებით, მას არ აქვს უფლება დაუსაბუთებელი უარი უთხრას ხელშეკრულების დადებაზე და ვალდებულია კლიენტთან გააფორმოს დაზღვევის ხელშეკრულება. მზღვეველი ასეთი ვალდებულებისგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის ან დაზღვევის ობიექტის მიმართ გააჩნია ისეთი სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა.²¹

კანონი სადაზღვევო კომპანიებს ანიჭებს უფლებას, სადაზღვევო რისკის შეფასებისას უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადაზღვევო რისკი განისაზღვრება, როგორც მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობას და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.²²

მოცემული საქმის შეფასებისას, საქართველოს სახალხო დამცველი შეეხება მსგავს თემატიკაზე არსებულ თავისთავი პრაქტიკას. კერძოდ, 2019 წლის 2 სექტემბრის რეკომენდაციით²³ ასაკის ნიშნით დისკრიმინაციულად შეფასდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა სადაზღვევო კომპანიამ ხანდაზმულ ადამიანებს ბლანკეტურად უთხრა უარი სამოგზაურო დაზღვევაზე. ამ საქმეში საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ მიზეზი, რის გამოც სადაზღვევო კომპანიები ხანდაზმულ ადამიანებს უარს ეუბნებიან სადაზღვევო მომსახურების გაწევაზე, ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი სეგმენტაციის ტექნიკას იყენებენ, რაც ავტომატურად დისკრიმინაციას არ ნიშნავს, თუკი მზღვეველს მისი დასაბუთება შეუძლია. სეგმენტაციის ტექნიკის გამოყენების დროს:

- უნდა არსებობდეს ზუსტი, ახალი და რელევანტური მონაცემები, რომლებიც დაადასტურებს, რომ ასაკი მომატებულ რისკთან არის დაკავშირებული;

²⁰ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ის 2021 წლის 17 ნოემბრის წერილი

²¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 800, 114

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ნოემბრის განჩინება, საქმე ას-760-728-2016

²³ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 2 სექტემბრის რეკომენდაცია სს „არდს“. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019091315011977359.pdf>

- აპლიკანტის მდგომარეობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და შესაძლო უარი არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ასაკს;
- განსხვავებულ მოპყრობას აქვს ლეგიტიმური მიზანი და მისი მიღწევისთვის საჭირო ზომები სათანადო და აუცილებელია.²⁴

საქართველოს სახალხო დამცველის პრაქტიკის მიხედვით, „ასაკის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა, შესაძლოა, რაციონალურ ფაქტორებსაც ემყარებოდეს და სოციალურ, ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდეს. თუმცა, ასევე შესაძლოა, ასეთი მიდგომა განზოგადებულ დასკვნებს და სტერეოტიპებს ეფუძნებოდეს.“²⁵ სახალხო დამცველის საკითხის განმარტებისას ეყრდნობა ევროპული კომისიის სტანდარტებს, რომ „მხოლოდ ასაკი არ უნდა იქნას მიჩნეული ჯანმრთელობის მდგომარეობის საკმარისად ზუსტ ინდიკატორად. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ასაკი სტატისტიკურად არის დაკავშირებული ავადობის მაღალ მაჩვენებელთან, ადამიანის ინდივიდუალური გარემოებები შესაძლოა იმდენად განსხვავდებოდეს არსებული ტენდენციისგან, რომ ასაკი ამ ინდივიდზე დასკვნის გასაკეთებლად არასწორი ინდიკატორი აღმოჩნდეს.“²⁶

აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - ზედამხედველობის სამსახური) რეკომენდაცია „სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ“, რომლის შემუშავების საფუძველია საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 2 სექტემბრის რეკომენდაცია. ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაცია მიემართება საქართველოში სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მონაწილე ყველა მზღვეველს, სადაზღვევო ბროკერსა და დაზღვევის აგენტს. დოკუმენტში განმარტებულია, რომ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის ფასის განსაზღვრასა და სადაზღვევო რისკების შეფასებაში მომხმარებლის ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს.²⁷ თუმცა, ამავე რეკომენდაციაში მითითებულია რისკების შეფასების პროცესში გასათვალისწინებელი ღონისძიებები.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ რეკომენდებული ღონისძიებები არაერთია, მათ შორისაა: ორგანიზაციის შიდა პოლიტიკის დოკუმენტებში დეტალურად გაიწეროს მომხმარებლის ასაკის ნიშნით დაწესებული მიდგომები; არ დადგინდეს ასაკობრივი ზღვარი,

²⁴ Equinet European network of equality bodies, “Fighting Discrimination on the Ground of Age”, 35-36. ხელმისაწვდომია http://equineteurope.org/wp-content/uploads/2019/03/AgeDiscrimination_updated-electronic.pdf

²⁵ რეკომენდაცია ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, 7 <http://www.ombudsman.ge/geo/qvela-rekomendatsia/sakhalkho-damtsvelma-samogzauro-dazghvevaze-khelimisatsvdomobis-shezhghudva-khandazmuli-adamianebis-mimart-diskriminatsiad-miichnia?fbclid=IwAR1gJEerHuUeRvjm79jxYhD4VpQoJyx1em75WMqHnOE8P3n6cAOktmTO_LY>

²⁶ რეკომენდაცია ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, 8; European Commission, age discrimination and european law - Employment & social affairs, Fundamental rights and anti-discrimination; 35- 3 (2005)

²⁷ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 01 აპრილის №4 რეკომენდაციის „სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ“, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი

როგორც მომსახურების გაწევაზე უარის თქმის ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა საფუძველი; ასაკის ჭრილში რისკის შეფასებისას მხედველობაში იქნეს მიღებული, აგრეთვე მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინდივიდუალური ინფორმაცია; უზრუნველყოფილ იქნეს ასაკის ნიშნით მომსახურების მიწოდებაზე უარის ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში დასაბუთება, მათ შორის წერილობითი ფორმით მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში; ასაკის ნიშნით დაწესებული განსხვავებული ტარიფის ან პირობების შეთავაზებისას, უზრუნველყოფილი იქნეს დაინტერესებული პირის დეტალური ინფორმირება და პირობების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ ეს უკანასკნელი არ იყოს მომხმარებლის შეცდომაში შემყვანი. ამასთან, განსხვავებული ტარიფის ან პირობების შეთავაზებისას დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში მიეწოდოს მას წერილობითი დასაბუთება.²⁸

ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციაში მნიშვნელოვანია ასევე ჩანაწერი, რომლის თანახმად, მზღვეველი უფლებამოსილია, არ დადოს სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან ან დაადგინოს მისთვის უფრო მაღალი ტარიფი ან განსხვავებული მოპყრობა, მხოლოდ რეკომენდაციის ღონისძიებების კუმულატიურად გათვალისწინების შემთხვევაში.²⁹

მოცემულ საქმესთან კავშირში ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკის დოკუმენტები, მათ შორის, საქართველოს შემუშავებული აქვს მოსახელობის დაბერების სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია. თავის მხრივ, ეს კონცეფცია პრინციპების დონეზე ეყრდნობა დაბერების პრობლემების მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმასა და მისი განხორციელების რეგიონალურ სტრატეგიას (MIPAA/RIS), რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ვალდებულებას. მოცემული საქმის გარემოებებისთვის არსებითია შემდეგ ვალდებულებებზე ყურადღების გამახვილება: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხანდაზმულთა საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია და ჩართულობა, სოციალური დაცვის სისტემის მოწესრიგება; ყველა ასაკში ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფის და დამოუკიდებელი ცხოვრების (მათ შორის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის) ხელშეწყობა.³⁰ კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს მიზანს უნდა წარმოადგენდეს ხანდაზმულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე მორგებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;³¹ საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით

²⁸ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 01 აპრილის №4 რეკომენდაციის „სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ“, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი

²⁹ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 01 აპრილის №4 რეკომენდაციის „სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ“, მე-3 მუხლის მეორე პუნქტი

³⁰ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“, 5146-III (27/05/2016)

³¹ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“, 5146-III, 3.2. (27/05/2016)

ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიაში ხანდაზმულებზე გრძელვადიანი ზრუნვის ელემენტების შეტანა;³² ხანდაზმულებისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა როგორც სოფლად, ასევე ქალაქად.³³

მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებები საქართველოში ხანდაზმული ადამიანების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. როგორც 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშია მითითებული, წლების განმავლობაში ნარჩუნდება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა გადასაჭრელად სახელმწიფოს განგრძობადი ძალისხმევის გამოჩენა მართებს.³⁴ სახალხო დამცველი ასევე მიუთითებს, რომ საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო კონცეფციის ეროვნული გეგმა მიმდინარე პერიოდისთვის არ მოქმედებს.³⁵ პრობლემურია, რომ მანამდე არსებული გეგმის შედეგები დღემდე არ არის გაანალიზებული. სახელმწიფოში პენსიონერთა სოციალურ მდგომარეობას ასუსტებს საბანკო დაწესებულებების მიერ ხანდაზმულ პირთა თვიური პენსიის 50 პროცენტზე მეტის დაკავება.³⁶

საინტერესოა ნიდერლანდების თანასწორობის ორგანოს გამოცდილება, რომლითაც დადგენილია სტანდარტი, რომ ასაკი უპირობოდ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას არ განსაზღვრავს. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, გემთსაშენში მეხანძრედ მუშაობდა კაცი, რომელიც 65 წლის გახდა. მან დამსაქმებლისგან მიიღო შეტყობინება, რომ იგი გათავისუფლებული იყო სამსახურიდან, რადგან მან მიაღწია საპენსიო ასაკს. ამ შემთხვევაში, თანასწორობის ორგანომ დაადგინა ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია, რამდენადაც მიიჩნია, რომ გემთსაშენს ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინა შესაბამისი მეხანძრის ფუნქციებთან პირის ჯანმრთელობის შესაბამისობა.³⁷

განმცხადებელი მ. ლ.-ის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია, ერთი მხრივ, აცხადებს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას შესაძლებელია საკითხის ინდივიდუალურად შესწავლა და მეორე მხრივ, ობიექტურად და გონივრულად ხედავს 70 წლის ან მეტი ასაკის პირებისთვის მხოლოდ დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. მოპასუხე მიუთითებს: „იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნეს როგორც

³² საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“, 5146-III, 3.3. (27/05/2016)

³³ აღნიშნული ნაწილი განსაკუთრებით საინტერესოა იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს აქვს განსხვავებული მიდგომა პენსიონერების მიმართ, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში ცხოვრობენ და მათ შესაბამის საპენსიო დანამატებს განუსაზღვრავს. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“, 5146-III, 3.4. (27/05/2016)

³⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 370

³⁵ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 370

³⁶ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 371

³⁷ Discussion Paper: Fighting Discrimination on the Ground of Age, European Network of Equality Bodies, 27 (2018)

დაზღვეულის ასევე მზღვეველის ინტერესები და რადგან 70 წლის ან მეტი ასაკის პირები უპირობოდ ითვლებიან გაზრდილი რისკის მატარებლად, კონკრეტული სტანდარტული პირობებით იფარება მხოლოდ დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები.“ ამგვარად, 70 წლის და მეტი ასაკის დაზღვეული პირების მიმართ ამგვარი ჩანაწერი არ ტოვებს საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტის შესაძლებლობას; ასევე, ცხადია, რომ მ. ლ.-ისთვის შეთავაზებული სამოგზაურო დაზღვევის პირობები მხოლოდ მისი ასაკიდან გამომდინარეობდა და მისი საქმე არ შეფასდა პერსონალურად.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ ზღვრული ასაკის დადგენა, რომლის მიღმა მყოფი პირი ავტომატურად ჩაითვლება განსაზღვრული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონედ, გაუმართლებელია. ამ მიდგომით გამოირიცხება პირის მდგომარეობის ინდივიდუალურად შეფასების სქემა. კერძო კომპანიებს აქვთ ვალდებულება, რომ თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით ხანდაზმული მოსახლეობის მიმართ გაატარონ ღირსებაზე დაფუძნებული პოლიტიკა.

თავის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველმა მოცემული საქმის ფარგლებში არ შეისწავლა ის პირობები თუ კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც მ. ლ.-ის საქმე ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს. აღნიშნული კომპლექსური საკითხია, ხოლო მოპასუხის პოზიციის მიხედვით, მ. ლ.-ისთვის სამოგზაურო დაზღვევის შეთავაზებული პირობები უშუალოდ მისი ასაკიდან გამომდინარეობს. მსგავსი მიდგომა კი საკმარისია დისკრიმინაციული მოპყრობის დასადგენად.

დამატებით, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ არსებობს ბუნდოვანება ხელშეკრულების პირობების თაობაზე განმცხადებლისთვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებასთან დაკავშირებით. ხაზი უნდა გაესვას, რომ ზედამხედველობის სააგენტო ყურადღებას ამახვილებს დაინტერესებული პირის დეტალური ინფორმირების და პირობების იმგვარად ჩამოყალიბების მოთხოვნაზე, რომ ეს უკანასკნელი არ იყოს მომხმარებლის შეცდომაში შემყვანი. არ დასტურდება, რომ მ. ლ.-ს ინფორმაცია ნათლად მიეწოდა შემდეგი გარემოებები გამო: მზღვეველს ჰქონდა მოლოდინი, რომ მომხმარებელი მის ვებ-გვერდზე გაეცნობოდა სადაზღვევო პირობებს; მან ინდივიდუალურად არ შეაფასა განმცხადებლის საქმე; არც შუამავალმა კომპანიამ აცნობა განმცხადებელს, რომ მის მიერ უკვე გაწეულ სამედიცინო ხარჯებს სადაზღვევო კომპანია არ დაფარავდა. საქართველოს სახალხო დამცველი ამ საკითხზე მიუთითებს, როგორც დისკრიმინაციის ფაქტის მიღმა არსებულ დამატებით პრობლემაზე.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ განმცხადებელი მ. ლ.-ის მიმართ მოპასუხე სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-მა განახორციელა დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით. შესაბამისად, „საქართველოს სახალხო

დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-ს:

- გადახედოს მ. ლ.-სთან დადებულ სამოგზაურო დაზღვევის პირობებს. კერძოდ, ინდივიდუალურად შეაფასოს იგი, განმცხადებლის მიერ უკვე გაღებული სამედიცინო ხარჯის ანაზღაურების თაობაზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;
- მომავალში არ დაუშვას ასაკის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოთ თანასწორობის პრინციპის დაცვით; უზრუნველყოს შიდა ორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა; საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 1 აპრილის №4 რეკომენდაციის „სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ“ შესრულების მიზნით, დროულად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,